

## განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზმი

კანონპროექტის მიღება განპირობებულია სახელმწიფო ქონების შეუსაბამოდ დაბალი ფასით პრივატიზების შესაძლებლობის შემცირებისა და ამ კუთხით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დამატებითი მექანიზმებით აღჭურვის აუცილებლობით. კანონპროექტის მიღება ასევე განპირობებულია საქართველოში არსებული ისტორიულ-კულტურული ფასეულობების შენარჩუნების მიზნით მათი პრივატიზაციის შესაძლებლობის აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია სახელმწიფო ქონების პრივატიზების ეფექტურობის უზრუნველყოფა და პრივატიზების პროცესის გამარტივება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, თუ არ მოხდება გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ენიჭება უფლებამოსილება არ შეამციროს საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასი და მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცედურის გაგრძელების თაობაზე. ამ შემთხვევაში, სამინისტროს ევალება შესაბამისი სახელმწიფო ქონების თაობაზე ინფორმაციის პერიოდულად გამოქვეყნება „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით. ამასთან, პროექტის თანახმად მოცხადებული პირობებით საპრივატიზებო ქონების შეტენის შესახებ (პირველივე) მოთხოვნის (განცხადების) წარდგენიდან ერთი თვის ვადაში თუ წარმოდგენილი არ იქნება სხვა პირის განცხადება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ქონების პრივატიზების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება სახელმწიფო ქონების პრივატიზება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, შესაძლებელი ხდება დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტების, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივების, კინო-ფოტო და ფონო დოკუმენტების სახელმწიფო ფონდის, სახელმწიფო მუზეუმების, თეატრების, საქართველოს სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების არქივებისა და ფონდების

პრივატიზება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო  
წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე  
კანონპროექტის მიღება იქონიებს დადებით გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე  
კანონის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები  
კანონის პროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება  
კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)  
კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან  
კანონპროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.